

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

გიორგი ძინძიბაძე

Giorgi Dzindzibadze

სასამართლო ბალისტიკური კვლევა: კანონმდებლობის და
მეთოდოლოგიის შესაბამისობა

Forensic Ballistic Research: Compliance of Legislation and
Methodology

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

Educational program: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

The thesis is presented for obtaining of the PhD degree in Law

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2026

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ძინძიბაძე

სასამართლო ბალისტიკური კვლევა: კანონმდებლობის და
მეთოდოლოგიის შესაბამისობა

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2026

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
გია დეკანოზიშვილი,
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.gruni.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა ენუქიძის №3
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი	
შესავალი.....	4
ნაშრომის მოკლე შინაარსი.....	9
ხელის ცეცხლსასროლი იარაღის და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის კლასიფიკაცია და სასამართლო ბალისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგია.....	12
სასამართლო პრაქტიკა.....	15
სასამართლო–ბალისტიკური გამოკვლევის შედეგებისა და განმმარტავი ნორმატიული აქტების გავლენა ქმედების სამართლებრივ კვალიფიკაციაზე.....	21
მეთოდოლოგია კვლევის აღწერა და შედეგები.....	24
განსჯა და მეცნიერული მიგნებები.....	28
დასკვნა.....	34

შესავალი

საკვლევი პრობლემატიკა და თემის აქტუალობა: ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 დეკემბრის განკარგულებით, დაფუძნდა სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისია, რომელმაც მიზნად დაისახა სამართლის ძირითად დარგებში ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტების – კოდექსების მომზადება. ევროპული საკანონმდებლო მუშაობის გამოცდილებისაგან განსხვავებით, სადაც კოდიფიცირებულ აქტებზე მუშაობა ათწლეულობით გრძელდებოდა, ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ძალზე მცირე დროში მომზადდა. დარგობრივმა კომისიამ შეიმუშავა თანამედროვე სისხლის სამართლის კოდიფიცირებული აქტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 1999 წლის 22 ივლისს მიიღო და ძალაში შევიდა 2000 წლის 01 ივნისიდან. მას შემდეგ აღნიშნული კოდექსის 236-ე მუხლმა რამდენიმეჯერ განიცადა ცვლილება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი თავისი შინაარსით ვერ პასუხობს თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულ მუხლში, ასე თუ ისე, გაწერილია პასუხისმგებლობა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვის, ტარების, დამზადების, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის, მაგრამ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტიპები არასწორადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან. აღნიშნული საკითხი არამართებულადაა დარეგულირებული „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელზე მითითებითაც უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობა სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ტიპისა და კატეგორიის მიხედვით, სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. სწორედ ექსპერტ-ბალისტიკოსს შეუძლია კვალიფიციური დასკვნის შედგენა, გამიჯვნა ერთმანეთისაგან ხელის ცეცხლსასროლი იარაღისა და მათთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის მათი ტიპებისა და კატეგორიების მიხედვით, რაც დაფუძნებული უნდა იყოს შესაბამის

მეთოდოლოგიურ კვლევაზე. სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, სისხლის სამართლის კოდექსისა და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მეტად დახვეწილ რედაქციასთან ერთად, საწინდარი იქნება სისხლის სამართლის საქმეებზე მართებული კვალიფიკაციისა იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, სადაც ფიგურირებს ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა.

საკვლევი თემა, თანამედროვე პერიოდში, განსაკუთრებით დიდ აქტუალობას იძენს, ვინაიდან ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაული უდიდეს საფრთხეს უქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, საზოგადოებაში იწვევს ნეგატიურ შედეგებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ცეცხლსასროლი იარაღი მომეტებულ საფრთხის წყაროს წარმოადგენს, მეტად მნიშვნელოვანია მისი ბალისტიკური მახასიათებლების სწორი გამოკვლევა, იარაღის კატეგორიების მიხედვით სწორი დაყოფა და ზუსტი კლასიფიკაცია, მათგან გასროლილი ჭურვების დამაზიანებელი ძალის განსაზღვრა. ასევე, აუცილებელია, თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, დაიხვეწოს როგორც სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები, ასევე, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი და სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდური სახელმძღვანელო.

კვლევის მიზანი: წინამდებარე კვლევის მიზანია, შესწავლილი იქნეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ტენდენციები ამ მიმართულებით, გაანალიზდეს მათი კანონმდებლობა და სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიები, აღიწეროს იმ კონკრეტული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ბალისტიკური მახასიათებლები, რომელთა სამოქალაქო ბრუნვაც შეზღუდულია და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, რომელთა მართლზომიერი შექმენა-შენახვა შესაძლებელია კანონის საფუძველზე, ასევე, აუცილებელია სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკის განხილვა და მიზეზების გაანალიზება.

სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტური შემადგენლობა სახეზე იქნება მაშინ, თუკი დაირღვევა „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის აღნიშნული მუხლები საკუთარი ბუნებით პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები არ არიან, ისინი პირდაპირ განსაზღვრავენ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ობიექტურ შემადგენლობას. მათი არსებობის გარეშე ვერ იმოქმედებს სსკ 236-ე მუხლიც, ხოლო, თავის მხრივ, ვერ იმოქმედებს ვერც „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის ის კონკრეტული მუხლები, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის სახეებს განსაზღვრავენ, ობიექტების შესაბამისი მეთოდოლოგიური კვლევების გარეშე. ორივე კანონის აღნიშნული მუხლების ერთობლიობით, მეთოდოლოგიურ კვლევასთან ერთად, იქმნება სისხლის სამართლის დანაშაულის დისპოზიცია, ობიექტური შემადგენლობა, რომელიც კრიმინალიზებულია.

არაერთგვაროვანი პრაქტიკის მიზეზი, რიგ შემთხვევებში, ნორმის სხვადასხვაგვარად განმარტებაა. ამ ყოველივეში, ასევე, დიდ როლს თამაშობს კვლევის მეთოდოლოგიისა და კანონმდებლობის ხარვეზები, შესაბამისად, ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია კანონმდებლობისა და სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიის სრულყოფით, მათი თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებთან და საერთაშორისო რეკომენდაციებთან მიახლოებით, ერთმანეთთან შესაბამისობით.

თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიები უნდა ასახავდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს და ვითარდებოდეს საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარების შესაბამისად. თანამედროვე პერიოდში, მეტად განვითარებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს პირობებში, არსებული რეალობიდან და საზოგადოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვერ იქნება გამოყენებული კანონმდებლობა და კვლევის მეთოდები, რომლებიც არ იქნებიან შესაბამისობაში

განვითარებული ქვეყნების თანამედროვე პრაქტიკასთან. გამომდინარე აღნიშნულიდან, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლში და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილებები, რომლებიც აღნიშნულ კანონებს დაუახლოებს არსებულ რეალობას, შემდეგ კი სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი კანონმდებლობასთან, ვინაიდან, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობის განსასაზღვრად, აუცილებელია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონზე მითითება. თავის მხრივ, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონზე რომ მიეთითოს, უნდა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის ობიექტი. ობიექტის რაობა კი დგინდება შესაბამისი კვლევების საფუძველზე, არსებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

კვლევის საგანი და ობიექტი: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტები განისაზღვრა სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. კვლევის ობიექტებად შეირჩა სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგია და კანონმდებლობა, სადაც საუბარია ხელის ცეცხლსასროლ იარაღსა და მისთვის განკუთვნილ საბრძოლო მასალაზე, კერძოდ, სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიის ის ნაწილი, სადაც განმარტებულია ხელის ცეცხლსასროლი იარაღისა და ვაზნების ტიპები, მათი აუცილებელი კრიტერიუმები, გამოკვლევის თავისებურებები, ასევე, კანონმდებლობა, სადაც საუბარია ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალაზე. კვლევის ინტერესის საგანია აღნიშნული მეთოდოლოგიისა და კანონმდებლობის თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებზე მორგება, მათი საერთაშორისო რეკომენდაციებთან და ერთმანეთთან შესაბამისობის აუცილებლობის დადგენა, ვინაიდან შეუსაბამობები კანონმდებლობასა და მეთოდოლოგიაში, ასევე, ნორმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია, ხშირად ხდება არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის საფუძველი. გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, გარკვეულ შემთხვევებში, ვერ

ახდენენ ქმედების მართებულ სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას.

ნაშრომის მეცნიერული, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად იქნება კომპლექსურად, სიღრმისეულად და მონოგრაფიულად გაანალიზებული ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები, ამოცანები და დასაბუთებული იქნება მისი და კანონმდებლობის შესაბამისობისა და სრულყოფის აუცილებლობა. ასევე, გაანალიზებული იქნება სასამართლო პრაქტიკა და გამოვლინდება მიზეზები არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებებისა. აღნიშნული კვლევის შედეგები იძლევა არსებული მეთოდოლოგიისა და კანონმდებლობის გადაფასების საფუძველს და სტიმულია დარგობრივი მეცნიერების შემდგომი განვითარებისა, ქმნის გამოყენებითი კვლევების განხორციელების ახალ იმპულსს.

ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ დისერტაცია გარკვეულ წვლილს შეიტანს სასამართლო მეცნიერებების, კერძოდ კი, სასამართლო-ბალისტიკის განვითარებაში. საბჭოთა პერიოდში, კვლევის მეთოდოლოგიები, ისევე როგორც კანონმდებლობა, დამოუკიდებლად ვერ ვითარდებოდა სახელმწიფოს წინაშე არსებული რეალური მოთხოვნების გათვალისწინებით და თითქმის ანალოგიური იყო საბჭოთა კავშირის წევრი ყველა სახელმწიფოსათვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიებმა უნდა ასახოს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესი და განვითარდეს საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარების შესაბამისად. თანამედროვე პერიოდში, არსებული რეალობიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვერ იქნება გამოყენებული კვლევის არარელევანტური მეთოდები და ეფექტურად ვერ იმოქმედებს საკანონმდებლო კონსტრუქცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში არსებულ რეალობასთან. ნაშრომის თეორიულ ღირებულებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე ის ფაქტორი, რომ

წინამდებარე დისერტაცია შესაძლებელია საფუძვლად დაედოს სხვა მრავალ გამოკვლევას, დაკავშირებულს სასამართლო მეცნიერებებთან და ცოდნის გავრცობას ამ მიმართებით.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს მისი მასალებისა და შეთავაზებული საკანონმდებლო კონსტრუქციების პოტენციურ გამოყენებაში კანონმდებლობასა და კვლევის მეთოდოლოგიაში. საკითხის თანამედროვე მიდგომების შესაბამისად გააზრება, კანონმდებლობისა და კვლევის მეთოდოლოგიის სრულყოფა, მათი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა, საფუძველი იქნება მართებული და ერთგვაროვანი საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკისა.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ექვსი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს დანართის სახით თან ახლავს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საექსპერტო დაწესებულებიდან გადმოგზავნილი კითხვარის მასალები და ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ამსახველი ფოტოილუსტრაციები.

დისერტაციის პირველ და მეორე თავებში მიმოხილულია საქართველოსა და სხვა მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა, ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგია და სამეცნიერო ლიტერატურა. გაანალიზებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შექმნისათვის, შენახვისათვის და ა. შ., მიმოხილულია სამეცნიერო ნაშრომები, სადაც აღწერილია ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტიპები, კონსტრუქციის მოქმედების პრინციპები, სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფის საკითხები, ობიექტების გამოკვლევის თანმიმდევრობა და სხვა, ასევე, ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, სადაც დეტალურადაა აღწერილი ბალისტიკური კვლევის ობიექტების კონსტრუქციული თავისებურებები, მექანიზმის მოქმედების პრინციპები,

გაზომვების სტანდარტები, კონსტრუქციული შემადგენლობები, კვლევის თანმიმდევრობა, დასკვნის ფორმულირება და სხვა.

მესამე თავში რამდენიმე გადაწყვეტილებაა მოყვანილი სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც ჩანს, რომ მიუხედავად უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტებისა სსკ-ის 236-ე მუხლთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ბრალია, ზოგ შემთხვევაში - სასამართლოების მიერ ნორმის სხვადასხვაგვარი განმარტებისა, ზოგ შემთხვევაში კი - სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიაში არსებული სტანდარტებისა, რომლებიც თანხვედრაში არ არიან კანონმდებლობასთან.

კვლევის მეოთხე თავში დეტალურადაა განმარტებული, თუ რა გავლენა აქვს ქმედების მართებული სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისათვის სასამართლო-ბალისტიკური გამოკვლევის შედეგებსა და განმმარტავ ნორმატიულ აქტებს. ამ თავში კიდევ ერთხელაა დასაბუთებული, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი, რომელიც დაკავშირებულია ცეცხლსასროლ იარაღთან და საბრძოლო მასალასთან, ვერ იარსებებს დამოუკიდებლად, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის გარეშე, ხოლო ამ უკანასკნელის სწორად გამოყენებისათვის აუცილებელია სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა. შესაბამისად, კანონმდებლობისა და მეთოდოლოგიის შესაბამისობის აუცილებლობა მნიშვნელოვანია ქმედების მართებული სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისათვის.

დისერტაციის მეხუთე თავში საუბარია სასამართლო პრაქტიკის ანალიზსა და არაერთგვაროვანი სასამართლო და საგამომიებო პრაქტიკის მიზეზებზე. განხილულია რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილება, სადაც გამოკვეთილია სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა ერთგვაროვან ობიექტებთან დაკავშირებით, ასევე მოყვანილია მაგალითი საგამომიებო

პრაქტიკიდანაც. გაანალიზებულია არაერთგვაროვანი სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის მიზეზები, რაც, ზოგ შემთხვევაში, კანონმდებლობის ხარვეზებითაა გამოწვეული, ზოგ შემთხვევაში კი - ნორმის სხვადასხვაგვარად განმარტებით. დასახულია კონკრეტული გზები, რაც იქნება საფუძველი ერთგვაროვან სისხლის სამართლის საქმეებზე ერთგვაროვანი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკისა, განხილულია ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის სამოქალაქო ბრუნვაში დაშვების კრიტერიუმები და ის პრინციპები, რაც ამ კრიტერიუმებს უდევს საფუძვლად. მიმოხილულია თანამედროვე პერიოდის სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა და საექსპერტო პრაქტიკა, ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის. განხილულია ასევე საბჭოთა პერიოდში არსებული მიდგომები საკითხთან დაკავშირებით, რამაც გავლენა იქონია ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნის, მათ შორის, ქართულ კანონმდებლობასა და კვლევის მეთოდოლოგიაზე.

საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით განვითარებული თეორიული შეფასებებისა და რეკომენდაციების გამყარების თვალსაზრისით, ჩატარდა არაერთი ექსპერიმენტული კვლევა გარკვეული კატეგორიის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ბალისტიკური თვისებების უკეთ წარმოჩენისათვის, რისი დამადასტურებელი საილუსტრაციო მასალა თან ახლავს ნაშრომს.

მეექვსე თავში საუბარია კანონმდებლობისა და მეთოდოლოგიის სრულყოფით მოსალოდნელ პოზიტიურ შედეგებზე. კანონმდებლობასა და სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიაში რეკომენდებული ცვლილებები, რაც დაფუძნებულია მეცნიერული ნაშრომების კვლევებზე, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაზე, ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტის რეკომენდაციაზე, სასამართლო პრაქტიკის ანალიზსა და ექსპერიმენტულ კვლევებზე, საფუძველი იქნება მართებული სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისა, ერთგვაროვანი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკისა.

ხელის ცეცხლსასროლი იარაღის და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის კლასიფიკაცია და სასამართლო ბალისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომში მიმოხილულია საქართველოსა და სხვა მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა, ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგია და სამეცნიერო ლიტერატურა. გაანალიზებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შექმნისათვის, შენახვისათვის და ა. შ., მიმოხილულია სამეცნიერო ნაშრომები, სადაც აღწერილია ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტიპები, კონსტრუქციის მოქმედების პრინციპები, სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფის საკითხები, ობიექტების გამოკვლევის თანმიმდევრობა და სხვა, ასევე, ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, სადაც დეტალურადაა აღწერილი ბალისტიკური კვლევის ობიექტების კონსტრუქციული თავისებურებები, მექანიზმის მოქმედების პრინციპები, გაზომვების სტანდარტები, კონსტრუქციული შემადგენლობები, კვლევის თანმიმდევრობა, დასკვნის ფორმულირება და სხვა.

ხელის ცეცხლსასროლი იარაღის კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ხდება. აღნიშნულ კრიტერიუმებში მოიაზრება იარაღის ლულის ტიპი, რომელიც შეიძლება იყოს გლუვი და ხრახნილიანი, დამუხტვის მექანიზმის მოქმედების პრინციპი - მექანიკური ან თვითდამუხტავი, გასროლის რეჟიმი - ცალმაგი ან ავტომატური, დამზადების ტიპი - ქარხნული ან არაქარხნული, ლულის სიგრძე, იარაღის საერთო სიგრძე. ეს ის ძირითად კრიტერიუმებია, რომელთა მიხედვითაც ხდება ხელის ცეცხლსასროლი იარაღის გამოკვლევა ევროპის უმეტეს ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მეთოდოლოგიების მსგავსად, რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ხელის ცეცხლსასროლი იარაღის კლასიფიკაციის ძირითად კრიტერიუმად დღესაც მოიაზრება მათი მიზნობრივი დანიშნულება.

ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსად, ვაზნების კლასიფიკაციაც სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ხდება. ეს კრიტერიუმები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. ნაწილი ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურაში და კანონმდებლობაში ვაზნები ძირითადად დაყოფილია მათი მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, ნაწილ ქვეყნებში, მიზნობრივ დანიშნულებასთან ერთად, პრიორიტეტულია მათი კონსტრუქციული ელემენტები და აგებულება და აღნიშნულია, რომ საბრძოლო მასალები კლასიფიცირდება არა მათი მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, არამედ მათი შემადგენელი კონსტრუქციული ელემენტების მიხედვით.

პისტოლეტებისა და რევოლვერებისათვის განკუთვნილი ვაზნები, უმეტეს შემთხვევაში, გარსიანია და გააჩნია მომრგვალო წინა ნაწილი. არსებობს მრავალი ნიმუშის ვაზნა და ერთი და იგივე ნიმუშის ვაზნის განსხვავებული ტყვიები. მაგალითისათვის, არსებობს სამოცზე მეტი ტიპის ტყვია 9 მილიმეტრი ლუგერის ვაზნისათვის. აღნიშნული ტიპის ტყვიების ნაწილი სრულად გარსიანია, ნაწილი - ნახევრად გარსიანი, ასევე, არსებობს უგარსო ტყვიებიც. გარსიანი ტყვიებიც, თავის მხრივ, არსებობს ფოლადის მყარი გამჭოლი გულარით და შედარებით რბილი, მთლიანად ტყვიის მასალისაგან დამზადებული გულარით. რასაკვირველია, ყველა მათგანს თავისი დანიშნულება აქვს. რბილი მასალისაგან დამზადებული გულარის მქონე და ნახევრად გარსიანი ტყვიების ძირითადი დანიშნულებაა ადვილად დეფორმირება ობიექტზე მოხვედრისას, ხოლო გამჭოლი გულარის მქონე ტყვიები ეფექტურია შეჯავშნილი ობიექტებისა და მყარი მასალების წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის, როდესაც საუბარია ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალაზე, აუცილებელია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი განმმარტავი ხასიათისაა და არ შეიცავს პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებს, ხოლო ამ უკანასკნელის

სწორად გამოყენებისათვის, აუცილებელია ცოდნა იმისა, თუ კონკრეტულად რას წარმოადგენს ესა თუ ის ობიექტი, აღნიშნული კი უნდა დადგინდეს შესაბამისი მეთოდოლოგიური კვლევების საფუძველზე.

საბჭოთა პერიოდის და რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის ბალისტიკური ექსპერტიზის მეთოდურ სახელმძღვანელოში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იარაღის მიზნობრივ დანიშნულებაზე და დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: საბრძოლო იარაღი, განკუთვნილი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გასანადგურებლად (შაშხანები, ავტომატები, რევოლვერები, პისტოლეტები); სამოქალაქო იარაღი, მცირე კონტაქტური ენერგიით და სამიზნე მანძილით (მაგ. „კოროვინის“ კონსტრუქციის 6,35 მმ. კალიბრის პისტოლეტი, ამერიკული წარმოების რევოლვერი „კოლტი“, საფანტის ვაზნებით და სხვა.); სასწავლო იარაღი, განკუთვნილი იარაღის დეტალებისა და კვანძების შესასწავლად; სპორტული იარაღი; სანადირო იარაღი, განკუთვნილი სამოყვარულო და სარეწაო ნადირობისათვის.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურისათვის და მეთოდოლოგიებისათვისაა დამახასიათებელი ასევე მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ვაზნების კლასიფიკაცია, რის მიხედვითაც დანიშნულების მიხედვით ვაზნები არსებობს საბრძოლო, სპორტული, სანადირო და დამხმარე. საბრძოლო ვაზნები შექმნილია ცოცხალი ძალისა და აღჭურვილობის დასაზიანებლად დისტანციაზე; სპორტული ვაზნების დანიშნულებაა სამიზნეზე სროლა; სანადირო ვაზნები (ძირითადად ხრახნილულიანი და გლუვლულიანი სანადირო იარაღისთვის განკუთვნილი) გამოიყენება კომერციული ან სამოყვარულო ნადირობისთვის; დამხმარე ვაზნები შეიძლება გამოყენებული იქნეს სწავლების დროს.

ბალისტიკური კვლევის მიზანია, განისაზღვროს ექსპერტიზაზე წარდგენილი გამოსაკვლევი ობიექტის რაობა, ვინაიდან ქმედების მართებული სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისათვის, აუცილებელია შესაბამისი ექსპერტის დასკვნა, სადაც, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ასახული

იქნება ინფორმაცია ობიექტის ცეცხლსასროლობისა და სროლისათვის ვარგისიანობის შესახებ, ლულის ტიპის, მექანიზმის მოქმედების პრინციპის, დამზადების წესის, პარამეტრების, გასროლის რეჟიმის შესახებ. ვაზნის შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს მისი საბრძოლო მასალისადმი კუთვნილება, ვაზნის კონსტრუქციული შემადგენლობა, ტყვიის (ჭურვების) ტიპი, კალიბრი. აღნიშნულის მიხედვითაც, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონზე მითითებით, უნდა შეიქმნას შესაძლებლობა ქმედების მართებული სამართლებრივი კვალიფიკაციისა.

სასამართლო პრაქტიკა

მიუხედავად უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტებისა სსკ-ის 236-ე მუხლთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, სასამართლო პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ბრალია, ხოლო უზენაეს სასამართლოს არ აქვს ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკა, ზოგ შემთხვევაში - სასამართლოების მიერ ნორმის სხვადასხვაგვარი განმარტებისა, ზოგ შემთხვევაში კი - სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიაში არსებული სტანდარტებისა, რომლებიც ვედარ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს.

აღნიშნულის დასტურია სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილი სასამართლო გადაწყვეტილებები ცეცხლსასროლ იარაღთან და საბრძოლო მასალასთან დაკავშირებით, როდესაც ერთი და იგივე ობიექტების შეძენისა და შენახვისათვის ქმედებები სხვადასხვაგვარადაა დაკვალიფიცირებული, გამოტანილია გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენები, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ არაა ბრალდება წარდგენილი გამოძიების ეტაპზე.

როდესაც იარაღი თავდაპირველი სახით ქარხანა-მწარმოებლის მიერ დამზადებულია როგორც სანადირო, ან/და სპორტული

დანიშნულების, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას, ვინაიდან ასეთი კატეგორიის იარაღისა და საბრძოლო მასალის მიზნობრივი დანიშნულება დადგენილია მათი საპასპორტო მონაცემების მიხედვით, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილი არეგულირებს პასუხისმგებლობას ასეთი სახის იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმენისა და შენახვისათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მსგავსი სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმენა-შენახვისათვის პასუხისმგებლობა განსაზღვრულა მუხლის სხვადასხვა ნაწილებით.

გაცილებით რთულადაა საქმე, როდესაც იარაღი, საპასპორტო მონაცემების მიხედვით, არ არის სანადირო ან/და სპორტული დანიშნულების, მაგრამ მისი რეგისტრაცია შესაძლებელია შსს მომსახურების სააგენტოში შენახვისა და ტარების უფლებით, შესაბამისად, შესაძლებელია ამ იარაღით ნადირობა და სპორტული სროლა სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ადგილებში, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო სანადირო და სპორტულ იარაღად აღიარებს ისეთ იარაღსაც, რომელიც საპასპორტო მონაცემების მიხედვით, არ არის სანადირო ან/და სპორტული. რასაკვირველია, საუბარი არ არის ისეთი კატეგორიის იარაღზე, რომელიც „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არ დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში.

ასეთ შემთხვევებში, პასუხისმგებლობა დგება სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით, მაშინ, როდესაც იგივე მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი მოქალაქეს მართლზომიერ საკუთრებაში აქვს - რეგისტრირებული შსს მომსახურების სააგენტოში, შენახვისა და ტარების უფლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასეთი იარაღი აღიარებულია სანადირო დანიშნულების იარაღად.

თანამედროვე პერიოდში სახელმწიფომ ნება დართო მოქალაქეებს, სამოქალაქო იარაღად გამოიყენონ იარაღი, რომელსაც გარკვეული პერიოდის წინ მხოლოდ სამხედრო დანიშნულება ჰქონდა და ამ მიზნითაა შექმნილი. შესაბამისად, ამ კატეგორიის ცეცხლსასროლი იარაღი საპასპორტო მონაცემების მიხედვით, სამხედრო-საბრძოლო დანიშნულებისაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნაში ვერ ჩაიწერება, რომ ასეთი სახის იარაღი სანადირო დანიშნულებისაა, მით უფრო, რომ გარკვეული კატეგორიის იარაღს, რომელიც რეგისტრირდება მოქალაქეზე შენახვისა და ტარების უფლებით, როგორც სანადირო, დღესაც არ დაუკარგავს სამხედრო-საბრძოლო დანიშნულება. ამ ყოველივეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს იარაღის კატეგორიებად დაყოფა მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, რასაც დღეს ადგილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსში, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში, სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდურ სახელმძღვანელოში და ცეცხლსასროლი იარაღი, მიზნობრივი დანიშნულების ნაცვლად, კატეგორიებად უნდა დაიყოს პარამეტრების (ლულისა და საერთო სიგრძე, კალიბრი), ლულის არხის კონსტრუქციული მოწყობისა (გლუვი, ხრახნილიანი) და კონსტრუქციის მოქმედების პრინციპიდან (თვითდამმუხტავი, ცალმაგი, ან ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე) გამომდინარე, რაც იქნება საფუძველი ერთგვაროვან სისხლის სამართლის საქმეებზე მართებული სამართლებრივი კვალიფიკაციისა და ერთგვაროვანი სასამართლო გადაწყვეტილებებისა.

რაც შეეხება ტრავმატული მოქმედების იარაღს, მას აქვს ლულის განსაკუთრებული კონსტრუქცია, რის გამოც გააჩნია ობიექტის შეზღუდული დაზიანების შესაძლებლობა, რასაც შეზღუდული იარაღობა ეწოდება. სწორედ შეზღუდული იარაღობით განსხვავდება ამ კატეგორიის იარაღი სხვა ცეცხლსასროლი იარაღისაგან.

მიუხედავად იმისა, კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, იგი მაინც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. ისევე,

როგორც ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, ამ კატეგორიის იარაღთან დაკავშირებითაც სასამართლო გადაწყვეტილებები არაერთგვაროვანია. არსებობს როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელი განაჩენები.

ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეებისაგან განსხვავებით, სადაც არაერთგვაროვანი პრაქტიკის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს კანონმდებლობაში არსებული შეუსაბამობები, საბრძოლო მასალის შემთხვევაში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილია იმ საბრძოლო მასალის სახეები, რომლებიც ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან, ხოლო ამავე კანონის თანახმად, პირს, ვისაც რეგისტრირებული აქვს ცეცხლსასროლი იარაღი, უფლება აქვს შეიძინოს ამ იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა, რაც იმას გულისხმობს, რომ პიროვნებას, რომელსაც კანონმდებლობის საფუძველზე მართლზომიერ საკუთრებაში გააჩნია ცეცხლსასროლი იარაღი, რაიმე დამატებითი ნებართვის გარეშე, შეუძლია შეიძინოს ამ იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა, გარდა იმ საბრძოლო მასალისა, რომელიც არ არის დაშვებული სამოქალაქო ბრუნვაში. რაც შეეხება ვაზნების კუთვნილებას იარაღისადმი, ამ შემთხვევაში კუთვნილება განისაზღვრება კონკრეტული ვაზნის ნიმუშის პარამეტრების შესაბამისობით ამა თუ იმ იარაღის სავაზნის შიდა პარამეტრებთან, ხოლო კონკრეტული ნიმუშის ვაზნის პარამეტრების შესაბამისად დამზადებულია იარაღის მრავალი მოდეელი.

აღნიშნული ნიშნავს, რომ კონკრეტული ნიმუშის ვაზნის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მოდელის ერთი და იგივე კალიბრის იარაღში და ვაზნა არ არის შექმნილი რომელიმე კონკრეტული იარაღიდან გასროლისათვის, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა დამზადებულია სპეციალური დანიშნულებისათვის.

გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლო განმარტავს, რომ შესაძლოა არსებობდეს საბრძოლო მასალა, რომელიც

აბსოლუტურად თავსებადია კანონიერ მფლობელობაში არსებული იარაღიდან გასროლისათვის, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ეს ტყვიები კონკრეტული მოდელისთვის არ არის დამზადებული, მათი შექმნა დაუშვებელი და შესაბამისად, უკანონოა. სასამართლომ აღნიშნული მსჯელობა დაასაბუთა იმ ფაქტით, რომ იარაღისა და საბრძოლო მასალის გაცემა მკაცრად აღირიცხება უფლებამოსილი სუბიექტების მიერ.

მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურასა და კანონში არსებული განმარტებებისა, ზოგ შემთხვევაში, სასამართლო არ ითვალისწინებს, რომ ვაზნა არ მზადდება იარაღისათვის, არამედ, პირიქით, ჯერ მზადდება ვაზნა, ხოლო შემდეგ იარაღი მზადდება აღნიშნული ვაზნის გასასროლად.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, არსებობს გადაწყვეტილებები, როდესაც ბრალდებული ცნობილი იქნა უდანაშაულოდ იგივე სახეობის ვაზნების შექმნა-შენახვისათვის წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან ჩანს, არსებობს გადაწყვეტილებები, როდესაც პირის ბრალდება მოხდა სამხედრო არასპეციალური დანიშნულების ვაზნების შექმნა-შენახვისათვის და არსებობს გადაწყვეტილებები, როდესაც ასეთი ვაზნების შექმნა-შენახვისათვის ბრალდებული გამართლდა. ზოგ შემთხვევაში, პირს საერთოდ არ აქვს ბრალი წარდგენილი სამხედრო-სპეციალური დანიშნულების საბრძოლო მასალის შექმნა-შენახვისათვის, რაც, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან და ქმნის სსკ-ის 236-ე მუხლის შემადგენლობას.

ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსად, აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოები ხელმძღვანელობენ სისხლის სამართლის კოდექსით „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის მუხლებზე მითითებით, ხოლო იმისათვის, რომ მოხდეს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის კონკრეტული მუხლის გამოყენება, აუცილებელია სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა. ექსპერტი, სასამართლო-

ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის შედგენისას, ხელმძღვანელობს მეთოდური სახელმძღვანელოთი და გამოსაკვლევი ობიექტის შესახებ საცნობარო მონაცემებით. საცნობარო მონაცემების მიხედვით, კარაბინებისა და შაშხანებისათვის განკუთვნილი ფოლადის გულარიანი ვაზნები სამხედრო დანიშნულებისაა, რაც, რასაკვირველია, არ უნდა იქნეს გამოყენებული სამოქალაქო დანიშნულებით. აღნიშნული კატეგორიის ვაზნები პირდაპირ არაა მოხსენიებული „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლში, სადაც სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ საბრძოლო მასალაზეა საუბარი, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, არაერთგვაროვანი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის საფუძველია.

ამ ყოველივეს მიზეზად, ისევე როგორც ცეცხლსასროლი იარაღის შემთხვევაში, უნდა ჩაითვალოს საბრძოლო მასალის კატეგორიებად დაყოფა მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, რასაც დღეს ადგილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსში, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში, სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდურ სახელმძღვანელოში და ხრახნილლულიანი იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა, მიზნობრივი დანიშნულების ნაცვლად, კატეგორიებად უნდა დაიყოს მოქმედების ეფექტის, აგებულებისა და შემადგენლობის (ფოლადის გულარით, ექსპანსიური, ცეცხლგამჩენი და ა. შ.) მიხედვით. გარდა ამისა, სსკ-ის 236-ე მუხლის სათაურში, სადაც საუბარია გლუველულიან სანადირო ცეცხლსასროლ იარაღზე, მასთან ერთად უნდა ეწეროს ამ იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალაც. აღნიშნული ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში და ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებში იქნება საფუძველი მსგავს სისხლის სამართლის საქმეებზე მართებული სამართლებრივი კვალიფიკაციისა და ერთგვაროვანი სასამართლო გადაწყვეტილებებისა.

სასამართლო-ბალისტიკური გამოკვლევის შედეგებისა და განმმარტავი ნორმატიული აქტების გავლენა ქმედების სამართლებრივ კვალიფიკაციაზე

როგორც არაერთხელ აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისად რომ მოხდეს ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია, აუცილებელია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ განმმარტავ მუხლებზე მითითება, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის სახეებს განსაზღვრავენ. ამ უკანასკნელის სწორად გამოყენებისათვის, მეთოდოლოგიური კვლევით უნდა დადგინდეს, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ თუ რომელი კატეგორიის ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას მიეკუთვნება კონკრეტული ობიექტი. ამისათვის აუცილებელია მათი მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოკვლევა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის ზუსტი, ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება გამოსაკვლევნი ობიექტების რაობასთან დაკავშირებით.

საბჭოთა პერიოდში, ცალკე მოდელებად მზადდებოდა სანადირო, სპორტული, ასევე, სანადირო-სპორტული დანიშნულების იარაღი და საბრძოლო მასალა. აღნიშნული იარაღი, უმეტეს შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო გლუვლულიანი იარაღის ვაზნების გასასროლად, ძირითადად, თოფები და ქარხნულად თოფის ვაზნების გასასროლად გადაკეთებული შაშხანები, ასევე, იარაღის ნაწილი მზადდებოდა ხრახნილლულიანი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნების პარამეტრების შესაბამისად, მაგრამ მათი ჩამონათვალი ძალზედ მცირე იყო, მაგალითად, 5,6 მმ. კალიბრის კარაბინები და შაშხანები, 8,2 მმ. კალიბრის კარაბინები და სხვა, ასევე, რამდენიმე მოდელის კომბინირებული თოფი.

იარაღის წარმოების პრინციპები და სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართებით ასახული იყო როგორც კანონმდებლობაში, ასევე კვლევის მეთოდოლოგიებშიც, შესაბამისად, იარაღის მეთოდოლოგიური კვლევა დაფუძნებული იყო იარაღის ქარხანა-დამამზადებლის მონაცემებზე, ვინაიდან იარაღის

საპასპორტო მონაცემებში ასახული იყო მისი მიზნობრივი დანიშნულება. მაგალითად, 5,6 მმ. კალიბრის წრიული აალების ვაზნების გასასროლად ტულის საიარალო ქარხანაში დამზადებულია კარაბინები და შაშხანები, რომელთა ნაწილი, საპასპორტო მონაცემების მიხედვით, იყო სანადირო, ნაწილი - სანადირო-სპორტული და სასწავლო.

როგორც სახელმწიფოს თანამედროვე მიდგომა, ასევე არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული საკანონმდებლო კონსტრუქციები, ასევე, ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიაში არსებული კვლევის პრინციპები ვეღარ აკმაყოფილებს საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებს. განსხვავებით საბჭოთა პერიოდისაგან, როდესაც მოქალაქეს სანადირო ან სპორტული მიზნებისათვის უფლება ჰქონდა შეემინა კონკრეტული ცეცხლსასროლი იარაღის მოდელი, რომელიც ქარხანა-დამამზადებლის მიერ დამზადებული იყო სწორედ ამ დანიშნულებისათვის, თანამედროვე პერიოდში, მოქალაქეს, მიუხედავად იარაღის თავდაპირველი დანიშნულებისა, უფლება ეძლევა შენახვისა და ტარების უფლებით დაირეგისტრიროს იარაღი სანადირო იარაღის სტატუსით, რომელიც თავდაპირველად დამზადებული იყო, როგორც სამხედრო-საბრძოლო დანიშნულების და მრავალ ქვეყანაში დღესაც თავდაპირველი დანიშნულებით გამოიყენება.

ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისათვის, აუცილებელია სწორად წარმართული სასამართლო ბალისტიკური კვლევა. გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის მწარმოებელ ორგანოს უნდა შეეძლოს ქმედების მართებული სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია, ერთმანეთისაგან გამიჯვნა სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებისა, რასაკვირველია, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონზე მითითებით.

გარდა პირველი და მესამე ნაწილების ერთმანეთისაგან გამიჯვნისა, აუცილებელია ასევე კვლევის შედეგად დადგინდეს,

ხომ არ წარმოადგენს გამოსაკვლევი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა სპეციალური დანიშნულების ობიექტს, მაგალითად, ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე იარაღს, ვაზნების შემთხვევაში - ხომ არ არიან ისინი ჯავშანმხვრეტი, ცეცხლგამჩენი, აფეთქებითი ან ტრასირებული მოქმედების ძალის, ან განკუთვნილი ისეთი იარაღისთვის, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული არ არის, ასევე, ხომ არ წარმოადგენს ისეთ საბრძოლო მასალას, ჭურვს და მოწყობილობას, რომელთა მახასიათებლები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მახასიათებლებს არ შეესაბამება.

ქართული კანონმდებლობით, პასუხისმგებლობა დადგენილი ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვის და ა.შ. და იარაღი დაყოფილია მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით და არა პარამეტრებისა და მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, არაერთგვაროვანი სამართლებრივი კვალიფიკაციის საფუძველია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილი პასუხისმგებლობას ადგენს სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის, ან/და ასეთი იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის ან შენახვისათვის. სხვა კატეგორიის ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის ან შენახვისათვის პასუხისმგებლობა დადგენილია ამავე მუხლის მეხამე ნაწილით. ჩამოთვლილი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებას მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს, ხოლო მუხლის სათაურში აღნიშნულია, რომ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას არ წარმოადგენს სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის (თოფის) მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ა.შ.

2023 წლის 31 მაისის ცვლილებებით, რომელთა ძალაში შესვლის თარიღია 2023 წლის 01 აგვისტო, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი განმარტებულია, როგორც საბრძოლო მდგომარეობაში

მოსაყვანი მექანიკური ან ნახევრად ავტომატური მექანიზმის მქონე, გლუვლულიანი (თოფი), ხრახნილლულიანი (კარაბინი ან შაშხანა) ან კომბინირებული (ხრახნილლულიანი და გლუვლულიანი) გრძელი ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის საერთო სიგრძე იარაღის დამამზადებლის ან მწარმოებლის მიერ დამზადების შედეგად 55 სანტიმეტრს აღემატება. ამავე კანონის მიხედვით, იარაღი დანიშნულების მიხედვით დაყოფილია სამ კატეგორიად: სამოქალაქო იარაღი, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღი და სამხედრო-საზრძოლო იარაღი.

ზემოაღნიშნული ორივე კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ან მესამე ნაწილის ობიექტური შემადგენლობის არსებობა რომ დადგინდეს, ბალისტიკური კვლევის შედეგად უნდა გაირკვეს, დანიშნულების მიხედვით, თუ იარაღთა რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ექსპერტიზაზე წარდგენილი ობიექტი, არის ის სანადირო, სპორტული თუ სხვა კატეგორიის, ანუ - მიზნობრივი დანიშნულება. ამ მოთხოვნებით კანონმდებლობა და კვლევის მეთოდოლოგია მსგავსია საბჭოთა კანონმდებლობისა და მეთოდოლოგიისა და ვერ ასახავს საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებსა და ინტერესებს.

აკრძალული ან შეზღუდული იარაღის კატეგორია შეიძლება ეფუძნებოდეს იარაღის ტიპს, მაგალითად, ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე, ან კონკრეტულ მახასიათებელს, როგორცაა ლულის სიგრძე, რის საფუძველზეც შესაძლებელია კონკრეტული იარაღის მოდელის ლეგალური ფლობა და ნადირობისათვის გამოყენება, მაგრამ კანონმდებლობა არ უნდა განსაზღვრავდეს, არის თუ არა კონკრეტული იარაღის მოდელი სანადირო დანიშნულების.

მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და შედეგები

წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგია განისაზღვრა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ნაშრომში გამოყენებულია დესკრიფციული, ჰერმენევტიკული, ანალიტიკური,

შედარებით–სამართლებრივი და მცირე მოცულობით, ისტორიულ–გენეტიკური კვლევა. ასევე, გამოყენებულია კითხვარის მასალები.

დესკრიფციული კვლევისას, მიმოხილულია საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებული მეცნიერული ნაშრომები, ნორმატიული დოკუმენტები, ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტის რეკომენდაციები, სხვადასხვა ქვეყნის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, სასამართლო პრაქტიკა. მიუხედავად აღნიშნული კვლევის აღწერილობითი ხასიათისა, გამოკვეთილია საკვლევ თემის მიმართება თეორიულ/პრაქტიკულ კონტექსტთან, სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულ თუ სადაო იდეებსა და შეხედულებებთან და ა. შ.

შედარებით–სამართლებრივი კვლევისას, მიმოხილულია სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა სამოქალაქო ბრუნვაში არსებულ ცეცხლსასროლ იარაღთან და საბრძოლო მასალასთან დაკავშირებით. შედარებულია სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კანონმდებლობა და კვლევის მეთოდური სახელმძღვანელოები ქართულ კანონმდებლობასთან და მეთოდოლოგიებთან.

ანალიტიკური კვლევისას, გაანალიზდა დესკრიფციული და შედარებით–სამართლებრივი კვლევისას მიმოხილული საკითხები, როგორც ნორმატიული მასალა, ასევე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, სასამართლო პრაქტიკა და გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც საკითხთან მიმართებით არსებობს, დაისახა მათი გადაჭრის კონკრეტული გზები. აღნიშნული კვლევა პრობლემასა და შედეგზე ორიენტირებული კვლევაა, რომელიც მოიცავს შეფასებასა და შეფასებით მსჯელობას, ასევე, კრიტიკას, როგორც დადებითს, ასევე უარყოფითს.

ჰერმენევტიკული კვლევა მოიცავს ტექსტის სწორად გაგების მეთოდოლოგიას. კვლევისას ყურადღებაა გამახვილებული არსებულ საკანონმდებლო კონსტრუქციებზე როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ და მათი სწორად გაგების

გზებზე, ასევე, ყურადღება გამახვილებული იმ სასამართლო გადაწყვეტილებებზე, სადაც არსებული ნორმატიული მასალა სხვადასხვაგვარად განიმარტა.

ისტორიულ-გენეტიკური კვლევისას, განხილული იქნა საბჭოთა პერიოდში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ბრუნვასთან დაკავშირებული საკითხები და ის ცვლილებები, რაც კანონმდებლობამ და სახელმწიფო პოლიტიკამ ამ მიმართებით დღემდე განიცადა.

კვლევაში გამოყენებულია კითხვარის მასალები, რომლებიც გადაეცათ საქსპერტო დაწესებულებების პრაქტიკოს მუშაკებს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. კითხვარის მასალების ანალიზისას ნათლად ჩანს, თუ როგორ ახდენენ ევროპის ქვეყნები საკუთარი კანონმდებლობისა და კვლევის მეთოდოლოგიების ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტის რეკომენდაციების შესაბამისად სრულყოფას.

საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომში განვითარებული თეორიული შეფასებებისა და რეკომენდაციების გამყარების თვალსაზრისით, ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევები გარკვეული კატეგორიის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ბალისტიკური თვისებების უკეთ წარმოსაჩენად.

იმ თეორიული კვლევების, სადაც მიმოხილული და ერთმანეთთან შედარებულია საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებული მეცნიერული ნაშრომები, ნორმატიული დოკუმენტები, ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტის რეკომენდაციები, სხვადასხვა ქვეყნის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და სასამართლო პრაქტიკა, ასევე, ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. ცეცხლსასროლი იარაღი, მიზნობრივი დანიშნულების ნაცვლად, კატეგორიებად უნდა დაიყოს პარამეტრების (საერთო სიგრძე და ლულის სიგრძე, კალიბრი), ლულის არხის კონსტრუქციული მოწყობისა (გლუვი, ხრახნილიანი) და

კონსტრუქციის მოქმედების პრინციპიდან (თვითდამმუხტავი, ცალმაგი, ან ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე) გამომდინარე.

2. სისხლის სამართლის კოდექსში სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისათვის და სპორტული ცეცხლსასროლი იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის ნაცვლად, უნდა განისაზღვროს სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული საბრძოლო მასალა.

3. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში, სამოქალაქო ბრუნვაში აკრძალულ იარაღსა და საბრძოლო მასალასთან დაკავშირებით არსებულ ჩამონათვალს, უნდა დაემატოს ვაზნის კატეგორია, რომლის ტყვიასაც გააჩნია მყარი გამჭოლი გულარი და პისტოლეტებისა და რევოლვერებისათვის განკუთვნილი ვაზნები, ექსპანსიური ტიპის ტყვიებით, გარდა სანადირო და მიზანში სროლისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალისა, მათი გამოყენების უფლების მქონე პირებისთვის.

4. სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის სათაურში, გლუვლულიან ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, ნახსენები უნდა იყოს ამ იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა.

5. სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის სათაურში, გლუვლულიან ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, ნახსენები უნდა იყოს სამოქალაქო ტრავმატული იარაღიც, ხოლო „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა დაწესდეს გარკვეული კრიტერიუმები, ენერგეტიკული მახასიათებლების მიხედვით, ტრავმატული ცეცხლსასროლი იარაღის სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებასთან დაკავშირებით, დამაზიანებელი ენერგიის მაქსიმალურ ზღვარზე მითითებით, რომლის მართლსაწინააღმდეგო შემენისათვის, შენახვისათვის და ა.შ. უნდა გამოირიცხოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

6. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია სამოქალაქო ბრუნვაში აკრძალული იარაღი, ჩანაწერი „გრძელი ავტომატური ცეცხლსასროლი

იარაღი“ უმჯობესია, შეიცვალოს ჩანაწერით „ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე ცეცხლსასროლი იარაღი“.

განსჯა და მეცნიერული მიგნებები

ყოველი თეორიული კვლევა და მსჯელობა იმისთვის არსებობს, რომ მან პოზიტიური გავლენა მოახდინოს პრაქტიკულ საქმიანობაზე. ქვემოთ სწორედ მოსალოდნელ პოზიტიურ შედეგებზე იქნება საუბარი, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნეს კანონმდებლობისა და მეთოდოლოგიის სრულყოფითა და ერთმანეთთან შესაბამისობით.

უპირველეს ყოვლისა, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ შეუსაბამოა ერთმანეთთან როგორც არსებული კანონმდებლობა, ასევე კანონმდებლობა და კვლევის მეთოდოლოგიები და ისინი ვეღარ ასახავენ თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, რაც, რიგ შემთხვევებში, საფუძველია არაერთგვაროვანი საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის მიზეზი, ზოგ შემთხვევაში, ნორმის სხვადასხვაგვარი განმარტებაა სასამართლოების მიერ, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით კი ყველა კატეგორიის ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის განმარტება შეუძლებელია.

ერთგვაროვანი საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობისა და კვლევის მეთოდოლოგიების სრულყოფითა და ერთმანეთთან შესაბამისობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისეთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ფიგურირებს ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, მართებული სამართლებრივი კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსის, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების ერთმანეთთან შესაბამისობა და სრულყოფა თანამედროვე საზოგადოებისა და სახელმწიფოს

ინტერესების შესაბამისად. ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები კი ცვლილებების შესახებ დაფუძნებულია როგორც თეორიულ კვლევებზე, ასევე, პრაქტიკულ ექსპერიმენტებზე.

I. ცეცხლსასროლი იარაღი, მიზნობრივი დანიშნულების ნაცვლად, კატეგორიებად უნდა დაიყოს პარამეტრების (საერთო სიგრძე და ლულის სიგრძე, კალიბრი), ლულის არხის კონსტრუქციული მოწყობისა (გლუვი, ხრახნილიანი) და კონსტრუქციის მოქმედების პრინციპიდან (თვითდამმუხტავი, ცალმაგი, ან ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე) გამომდინარე. ყოველივე აღნიშნულმა უნდა ჩაანაცვლოს სისხლის სამართლის კოდექსში, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში და ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიაში არსებული ჩანაწერი „სანადირო დანიშნულების“. იარაღის პარამეტრები სიგრძის, კალიბრის, ლულის არხის კონსტრუქციული მოწყობის და მექანიზმის მოქმედების პრინციპის მიხედვით უნდა განისაზღვროს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით, ცალ-ცალკე, ხრახნილულიანი და გლუვულიანი იარაღისათვის, ხოლო სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნაში, სხვა საკითხებთან ერთად, სავალდებულო უნდა იყოს იარაღის პარამეტრების მითითება.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოკვლევა მოხდება არა მისი მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, არამედ, პარამეტრებისა და კონსტრუქციის მოქმედების პრინციპის მიხედვით. ექსპერტის დასკვნაში აისახება იარაღის პარამეტრები, კონსტრუქციის მოქმედების პრინციპი (ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე, თვითდამმუხტავი), ხოლო როდესაც „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში აღარ იქნება ნახსენები სიტყვა „სანადირო“ და იარაღი კატეგორიებად დაყოფილი იქნება იგივე პრინციპის მიხედვით, ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაცია მეტად გაიოლდება და გამოირიცხება არაერთგვაროვანი

სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია, რასაკვირველია, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ.

II. ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსად, აღნიშნული ცვლილება უნდა შეეხოს საბრძოლო მასალასაც და სისხლის სამართლის კოდექსში სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისათვის და სპორტული ცეცხლსასროლი იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის ნაცვლად, უნდა განისაზღვროს სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული საბრძოლო მასალა.

აღნიშნულის საფუძველია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, რადროსაც ნათლად გამოჩნდა, რომ არსებობს გადაწყვეტილებები, როდესაც პირის ბრალდება მოხდა სამხედრო არასპეციალური დანიშნულების ვაზნების შექმნა-შენახვისათვის და არსებობს გადაწყვეტილებები, სადაც ასეთი ვაზნების შექმნა-შენახვისათვის ბრალდებული გამართლებული იქნა, ზოგ შემთხვევაში, პირს საერთოდ არ აქვს ბრალი წარდგენილი სამხედრო-სპეციალური დანიშნულების საბრძოლო მასალის შექმნა-შენახვისათვის, რაც, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან და ქმნის სსკ-ის 236-ე მუხლის შემადგენლობას.

III. სამეცნიერო ლიტერატურის კვლევისა და ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, ასევე, ექსპერიმენტული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში, სადაც ჩამოთვლილია სამოქალაქო ბრუნვაში აკრძალული იარაღი და საბრძოლო მასალა, დაემატოს ვაზნის კატეგორია, რომლის ტყვიასაც გააჩნია მყარი გამჭოლი გულარი და პისტოლეტებისა და რევოლვერებისათვის განკუთვნილი ვაზნები, ექსპანსიური ტიპის ტყვიებით, ვინაიდან ამ კატეგორიის ვაზნების სამოქალაქო ბრუნვაში დაშვების საფუძველი არ არსებობს, გარდა სანადირო და მიზანში სროლისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალისა, მათი გამოყენების უფლების მქონე პირებისთვის.

IV. სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის სათაურში, გლუვლულიან ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, ნახსენები უნდა იყოს ამ იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა, ვინაიდან თავად სანადირო გლუვლულიანი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება და ა. შ. არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

V. სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის სათაურში, სანადირო გლუვლულიან ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, რომელიც, ასევე, უნდა დაკორექტირდეს, ნახსენები უნდა იყოს სამოქალაქო ტრავმატული იარაღიც, ხოლო „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა დაწესდეს გარკვეული კრიტერიუმები, ენერგეტიკული მახასიათებლების მიხედვით, ტრავმატული ცეცხლსასროლი იარაღის სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებასთან დაკავშირებით, დამაზიანებელი ენერგიის მაქსიმალურ ზღვარზე მითითებით, რომლის მართლსაწინააღმდეგო შექმნისათვის, შენახვისათვის და ა.შ. უნდა გამოირიცხოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვინაიდან, როგორც კვლევის შედეგებით დადასტურდა, შეზღუდული იარაღობის მქონე ტრავმატული ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილ რეზინის ჭურვს ბევრად ნაკლები ზიანის გამოწვევა შეუძლია მრავალი მოდელის პნევმატური იარაღიდან გასროლილ ჭურვთან შედარებით. ასეთ შემთხვევებში, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული დამაზიანებელი ენერგიის მაქსიმალურ ზღვართან კონკრეტული იარაღის დამაზიანებელი ენერგიის შესაბამისობა უნდა დადგინდეს სასამართლო-ბალისტიკური გამოკვლევის შედეგად, კვლევის მეთოდოლოგიებში დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

VI. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში, სამოქალაქო ბრუნვაში აკრძალულ საბრძოლო მასალის მსგავსად, კორექტირება უნდა შეეხოს სამოქალაქო ბრუნვაში აკრძალულ ცეცხლსასროლ იარაღსაც, ვინაიდან, მოკლე იარაღის ის მოდელები, რომლებსაც გააჩნიათ გასროლის ავტომატური

რეჟიმი, შეიქმნა სამხედრო-საბრძოლო და სპეციალური დანიშნულებისათვის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისინი არაეფექტურია დასამიზნებლად, არაეფექტური იქნება ასევე თავდაცვისათვის და განსაკუთრებით, სპორტული სროლისათვის, შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის იარაღი არ არის სამოქალაქო დანიშნულების და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია სამოქალაქო ბრუნვაში აკრძალული იარაღი, ჩანაწერი „გრძელი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი“ უმჯობესია, შეიცვალოს ჩანაწერით „ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე ცეცხლსასროლი იარაღი“, ვინაიდან არც გრძელი და არც მოკლე ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე ცეცხლსასროლი იარაღი არ შექმნილა არც თავდაცვითი და არც სპორტული დანიშნულებისთვის, შესაბამისად, მათი სამოქალაქო ბრუნვაში დაშვების საფუძველი არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს შემდეგი ცვლილებები, კერძოდ, სსკ-ის 236-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გრძელი გლუვგულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა) და სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული ტრავმატული მოქმედების ცეცხლსასროლი იარაღისა), საბრძოლო მასალის (გარდა გრძელი გლუვგულიანი იარაღისათვის (თოფისთვის) განკუთვნილი საბრძოლო მასალისა), ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება“.

სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული გრძელი ცეცხლსასროლი იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვა“.

შესაბამისი ცვლილებები უნდა შეეხოს საქართველოს სსკ-ის 237-ე და 238-ე მუხლებსაც.

გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რეკომენდებულია, ცვლილებები შევიდეს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში. კერძოდ, მოხდეს იარაღის კატეგორიებად დაყოფა პარამეტრებისა და მექანიზმის მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე და არა მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, განისაზღვროს გრძელი და მოკლე იარაღის პარამეტრები არა მხოლოდ საერთო სიგრძის, არამედ ლულის სიგრძის გათვალისწინებითაც, ცალ-ცალკე გლუვლულიანი და კუთხვილლულიანი იარაღისათვის, ასევე, დადგინდეს სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული ტრავმატული მოქმედების იარაღის დამაზიანებელი ენერჯის მაქსიმალური ზღვარი. ამასთან, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში, სადაც ჩამოთვლილია სამოქალაქო ბრუნვაში აკრძალული იარაღი, ჩანაწერი „გრძელი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი“ შეიცვალოს ჩანაწერით „ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე ცეცხლსასროლი იარაღი“, ასევე, იმავე მუხლში, სადაც ჩამოთვლილია სამოქალაქო ბრუნვაში აკრძალული იარაღი და საბრძოლო მასალა, დაემატოს ვაზნების კატეგორია, რომლის ტყვიასაც გააჩნია მყარი გამჭოლი გულარი და პისტოლეტებისა და რევოლვერებისათვის განკუთვნილი ვაზნები, ექსპანსიური ტიპის ტყვიებით, გარდა სანადირო და მიზანში სროლისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალისა, მათი გამოყენების უფლების მქონე პირებისთვის.

ვინაიდან ობიექტის რაობა დგინდება გამოკვლევით, კვლევის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ხოლო გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებით, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონზე მითითებით განისაზღვრება პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ობიექტური შემადგენლობის არსებობა, მიზანშეწონილია, კანონმდებლობა და ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოდიოდეს ერთმანეთთან, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების განხორციელება კანონმდებლობასა და მეთოდოლოგიაში. შესაბამისად, კანონმდებლობაში ცვლილებების

განხორციელების შემდეგ, აუცილებელი იქნება სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. სხვა საკითხებთან ერთად, რაც მოიცავს იარაღის ნიმუშს, მოდელს, კალიბრს, დამზადების წესს, სროლისათვის ვარგისიანობას, აუცილებელი იქნება განისაზღვროს და ექსპერტის დასკვნაში აისახოს ცეცხლსასროლი იარაღის პარამეტრები, ნაცვლად დანიშნულებისა (სანადირო, სპორტული, საბრძოლო და ა. შ.), გასროლის რეჟიმი (ცალმაგი, ავტომატური), შეზღუდული იარაღობის მქონე ტრავმატული იარაღის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს მისი დამაზიანებელი შესაძლებლობები, რათა განისაზღვროს, დაშვებულია თუ არა იგი სამოქალაქო ბრუნვაში, საბრძოლო მასალის გამოკვლევის შემთხვევაში, დასკვნაში უნდა აისახოს ვაზნის კონსტრუქციული შემადგენლობა და თვისებები, კონკრეტულად, უნდა დადგინდეს, ხომ არაა ვაზნა ისეთი კატეგორიის, რაც „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან.

დასკვნა

როგორც არაერთხელ აღინიშნა, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლები, სადაც განმარტებულია ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტიპები, საკუთარი ბუნებით პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები არ არიან, მაგრამ პირდაპირ განსაზღვრავენ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ობიექტურ შემადგენლობას. სსკ 236-ე მუხლით ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისას, აუცილებელია ზემოაღნიშნულ განმმარტავ ნორმებზე მითითება. ორივე კანონის აღნიშნული მუხლების ერთობლიობით, მეთოდოლოგიის შესაბამისად ჩატარებულ კვლევის შედეგებთან ერთად, იქმნება სისხლის სამართლის დანაშაულის დისპოზიციაც, ობიექტური შემადგენლობა, რომელიც კრიმინალიზებულია.

ნაშრომში განხილულია საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებული მეცნიერული ნაშრომები, ნორმატიული დოკუმენტები, ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტის რეკომენდაციები, სხვადასხვა ქვეყნის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა. ყოველივე აღნიშნული შედარებულია ქართულ კანონმდებლობასთან და კვლევის მეთოდოლოგიასთან. გაანალიზებულია საბჭოთა პერიოდში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ბრუნვასთან დაკავშირებული საკითხები და ის ცვლილებები, რაც კანონმდებლობამ და სახელმწიფო პოლიტიკამ დღემდე განიცადა ამ მიმართებით, შეჯამდა ევროპის ქვეყნების საექსპერტო დაწესებულებებიდან გამოგზავნილი კითხვარის მასალები, გაანალიზდა დესკრიფციული და შედარებით-სამართლებრივი კვლევისას მიმოხილული საკითხები, როგორც ნორმატიული მასალა, ასევე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, სასამართლო პრაქტიკა და გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც საკითხთან მიმართებით არსებობს. შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ახალი კრიტერიუმების დანერგვას როგორც კანონმდებლობაში, ასევე სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიაში. ახალი კრიტერიუმები კანონმდებლობისათვის და ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიისათვის, დაკავშირებული ხელის ცეცხლსასროლ იარაღთან და საბრძოლო მასალასთან, ჩამოყალიბებულია ნაშრომში და დასაბუთებულია მათი დანერგვის აუცილებლობა, ასევე, საუბარია მოსალოდნელ პოზიტიურ შედეგებზე, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნეს კანონმდებლობისა და მეთოდოლოგიის სრულყოფითა და ერთმანეთთან შესაბამისობით.

საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომში განვითარებული შეფასებებისა და რეკომენდაციების გამყარების თვალსაზრისით, ჩატარდა არაერთი ექსპერიმენტი გარკვეული კატეგორიის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ბალისტიკური თვისებების უკეთ წარმოჩენისათვის.

თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიები უნდა ასახავდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს და ვითარდებოდეს საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარების შესაბამისად. თანამედროვე პერიოდში, მეტად განვითარებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს პირობებში, არსებული რეალობიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვერ იმოქმედებს საკანონმდებლო კონსტრუქცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში არსებულ რეალობასთან. განსხვავებით საბჭოთა პერიოდისაგან, როდესაც მოქალაქეს სანადირო ან სპორტული მიზნებისათვის უფლება ჰქონდა შეემინა კონკრეტული ცეცხლსასროლი იარაღის მოდელი, რომელიც ქარხანა-დამამზადებლის მიერ დამზადებული იყო სწორედ ამ დანიშნულებისათვის, თანამედროვე პერიოდში, მოქალაქეს, უფლება ეძლევა შენახვისა და ტარების უფლებით დაირეგისტრიროს იარაღი სანადირო იარაღის სტატუსით, რომელიც თავდაპირველად დამზადებული იყო, როგორც სამხედრო-საბრძოლო დანიშნულების და მრავალ ქვეყანაში დღესაც თავდაპირველი დანიშნულებით გამოიყენება.

მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, იმისათვის რომ დადგინდეს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ან მესამე ნაწილის ობიექტური შემადგენლობის არსებობა, ბალისტიკური კვლევის შედეგად უნდა გაირკვეს, დანიშნულების მიხედვით, თუ იარაღთა რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ექსპერტიზაზე წარდგენილი ობიექტი, არის ის სანადირო, სპორტული თუ სხვა კატეგორიის, ანუ - მიზნობრივი დანიშნულება. ამ მოთხოვნებით კანონმდებლობა და კვლევის მეთოდოლოგია ვერ ასახავს საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებსა და ინტერესებს, ასევე, საფუძველია არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა.

საბჭოთა პერიოდის ბალისტიკური ექსპერტიზის მეთოდურ სახელმძღვანელოებში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო იარაღის მიზნობრივ დანიშნულებაზე. აღნიშნული კლასიფიკაცია არც იყო გასაკვირი, ვინაიდან ცალკე მოდელებად მზადდებოდა სანადირო, სპორტული, ასევე, სანადირო-სპორტული დანიშნულების იარაღი. აღნიშნული იარაღი ძირითადად გათვალისწინებული იყო გლუვლულიანი იარაღის

ვაზნების გასასროლად, ძირითადად, თოფები და ქარხნულად თოფის ვაზნების გასასროლად გადაკეთებული შაშხანები, ასევე, იარაღის ნაწილი მზადდებოდა ხრახნილლულიანი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნების პარამეტრების შესაბამისად, მაგრამ მათი ჩამონათვალი ძალზედ მცირე იყო.

იარაღის წარმოების პრინციპები და სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართებით ასახული იყო როგორც კანონმდებლობაში, ასევე კვლევის მეთოდოლოგიებშიც, შესაბამისად, იარაღის მეთოდოლოგიური კვლევა დაფუძნებული იყო იარაღის ქარხანა-დამამზადებლის მონაცემებზე.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედ რედაქციაშიც და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველ ნაწილშიც ნახსენებია სიტყვა „სანადირო“, რაც იმას ნიშნავს, რომ იარაღი დაყოფილია მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, მაგრამ, მიუხედავად კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერისა „სანადირო“, როგორც ჩანს, ხშირად, სამართალდამცავი ორგანოებისათვის გაურკვეველია, თუ რას ნიშნავს სანადირო იარაღი, ვინაიდან, ისეთ იარაღთან ერთად, რომელიც თავდაპირველად შექმნილია როგორც სანადირო დანიშნულების, სანადირო დანიშნულებით ხდება რეგისტრაცია იარაღისა, რომელიც შექმნილია, როგორც სამხედრო-საბრძოლო დანიშნულების. ხშირად სამართალდამცავი ორგანოებისათვის გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება კანონმდებლობაში არსებულ ტერმინში „სანადირო“, იგულისხმება მხოლოდ ის იარაღი, რომელიც თავიდანვე სანადირო დანიშნულებით შეიქმნა, თუ მასთან ერთად ის იარაღიც, რომელიც თავდაპირველად სამხედრო-საბრძოლო დანიშნულებისა იყო და რომლის მართლზომიერი შექმნისა და ტარების უფლებაც მისცა სახელმწიფომ მოქალაქეებს, როგორც სანადირო იარაღის.

მართალია ბოლო ცვლილებით კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ სანადირო იარაღის საერთო სიგრძე 55 სანტიმეტრზე მეტი უნდა იყოს, რაც ვრცელდება როგორც ხრახნილლულიან, ასევე გლუვლულიან იარაღზე, მაგრამ კანონმდებლობით ხელის ცეცხლსასროლი იარაღის მიზნობრივი დანიშნულების

განსაზღვრა, როგორც აღინიშნა, არ არის მიზანშეწონილი, თანაც, მხოლოდ იარაღის საერთო სიგრძიდან გამომდინარე, ვინაიდან ერთი და იგივე საერთო სიგრძის მქონე იარაღის გამოყენება მრავალი მიზნითაა შესაძლებელი, მათ შორის, სანადირო დანიშნულებით, სპორტული სროლისათვის, თავდაცვისათვის და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნაში ვერ ჩაიწერება, რომ ასეთი სახის იარაღი სანადირო დანიშნულებისაა, მით უფრო, რომ გარკვეული კატეგორიის იარაღს, რომელიც რეგისტრირდება მოქალაქეზე შენახვისა და ტარების უფლებით, დღესაც არ დაუკარგავს სამხედრო-საბრძოლო დანიშნულება. ამ ყოველივეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს იარაღის კატეგორიებად დაყოფა მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, რასაც დღეს ადგილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსში, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში და სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდურ სახელმძღვანელოში.

სახელმწიფო უფლებას აძლევს მოქალაქეს, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი თავდაცვის, სპორტული, სანადირო დანიშნულებით, მათი პარამეტრებიდან გამომდინარე, მაგრამ იქვეა ჩამონათვალი აკრძალული იარაღისა, რასთან დაკავშირებითაც სახელმწიფოს გააჩნია პოლიტიკა, რომ გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით აკრძალული ცეცხლსასროლი იარაღის სამოქალაქო ბრუნვაში დაშვების საფუძველი არ არსებობს.

ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტის 2021 წლის 24 მარტის დირექტივისა და სამეცნიერო ლიტერატურის კვლევისას, გამოიკვეთა, რომ მოკლე ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც გააჩნია ავტომატური გასროლის რეჟიმი, შეიქმნა სამხედრო-საბრძოლო და სპეციალური დანიშნულებისათვის, არაფექტურია დასამიზნებლად, შესაბამისად, არაფექტურია თავდაცვისათვის და განსაკუთრებით, სპორტული დანიშნულებისათვის, შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის იარაღი არ არის სამოქალაქო იარაღი და „იარაღის შესახებ“

საქართველოს კანონის მე-12 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია სამოქალაქო ბრუნვაში აკრძალული იარაღი, ჩანაწერი „გრძელი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი“ უმჯობესია, შეიცვალოს ჩანაწერით „ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი“, ვინაიდან ავტომატური გასროლის რეჟიმის მქონე მოკლე ცეცხლსასროლი იარაღის სამოქალაქო ბრუნვაში დაშვების საფუძველი არ არსებობს.

გარდა იარაღის კატეგორიებად დაყოფისა, არაერთგვაროვანი საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკის საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება არ არის ცეცხლსასროლი იარაღისათვის შეზღუდული დაზიანების უნარის არსებობა, მაგალითად, როგორცაა ტრავმატული მოქმედების იარაღი, განკუთვნილი რეზინის ჭურვების გასასროლად. შესაბამისად, რეკომენდებულია, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის სათაურში, სანადირო გლუვლულიან ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, ნახსენები იყოს სამოქალაქო ტრავმატული იარაღიც, ხოლო „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში დაწესდეს გარკვეული კრიტერიუმები, ენერგეტიკული მახასიათებლების მიხედვით, ტრავმატული მოქმედების ცეცხლსასროლი იარაღის სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებასთან დაკავშირებით, დამაზიანებელი ენერჯის მაქსიმალურ ზღვარზე მითითებით, რომლის მართლსაწინააღმდეგო შეძენისათვის, შენახვისათვის და ა.შ. უნდა გამოირიცხოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსად, არაერთგვაროვანი საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკის საფუძველად უნდა ჩაითვალოს საბრძოლო მასალის კატეგორიებად დაყოფა მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, რასაც დღეს ადგილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსში, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში და სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდურ სახელმძღვანელოში.

ექსპერტი, სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის შედგენისას, ხელმძღვანელობს მეთოდური სახელმძღვანელოთი და გამოსაკვლევი ობიექტის შესახებ საცნობარო მონაცემებით. საცნობარო მონაცემების მიხედვით, კარაბინებისა და შაშხანებისათვის განკუთვნილი ფოლადის გულარიანი ვაზნები სამხედრო დანიშნულებისაა. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლში ასეთი კატეგორიის ვაზნები პირდაპირ არაა ნახსენები, რაც, ხშირად, არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის საფუძველია, არაერთი განაჩენის მიხედვით მომხდარა როგორც მსჯავრდება, ისე პირის გამართლება ამ კატეგორიის ვაზნების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისათვის. ამ კატეგორიის ვაზნების გარდა, მსჯავრდება მომხდარა ასევე გლუვლულიანი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნების შეძენა-შენახვისათვის.

ხრახნილულიანი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნები, მიზნობრივი დანიშნულების ნაცვლად, კატეგორიებად უნდა დაიყოს იმის მიხედვით, დაშვებულია თუ არა ისინი სამოქალაქო ბრუნვაში, შესაბამისად, რეკომენდებულია, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია სამოქალაქო ბრუნვაში აკრძალული იარაღი და საბრძოლო მასალა, დაემატოს ვაზნების კატეგორია, რომლის ტყვიასაც გააჩნია მყარი გამჭოლი გულარი და პისტოლეტებისა და რევოლვერებისათვის განკუთვნილი ვაზნები, ექსპანსიური ტიპის ტყვიებით, ვინაიდან ამ კატეგორიის ვაზნების სამოქალაქო ბრუნვაში დაშვების საფუძველი არ არსებობს, გარდა სანადირო და მიზანში სროლისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალისა, მათი გამოყენების უფლების მქონე პირებისთვის.

როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი რომ იქნეს გამოყენებული, უნდა დადგინდეს, თუ რომელი კატეგორიის ცეცხლსასროლ იარაღსა თუ საბრძოლო მასალას განეკუთვნება ესა თუ ის ობიექტი. ობიექტები კატეგორიებად დაყოფილია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში და იქვეა მითითებული სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღისა და

საბრძოლო მასალის ჩამონათვალი, მაგრამ, დასადგენად იმისა, თუ კონკრეტულად რომელი სახეობისაა ესა თუ ის საგანი, გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაშია თუ არა და ა. შ., ამისათვის აუცილებელია მათი გამოკვლევა შესაბამის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. ექსპერტის დასკვნის საფუძველზე და დასკვნასთან შესაბამისობაში გამოიყენება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის ის განმმარტავი მუხლები, რომლებმაც თავის მხრივ უნდა შეავსონ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმდებლობისა და კვლევის მეთოდოლოგიის სრულყოფა ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მიმდინარეობდეს.

ნაშრომში ასახულია კანონმდებლობასა და სასამართლო-ბალისტიკური კვლევის მეთოდოლოგიაში რეკომენდებული ცვლილებები, რაც დაფუძნებულია მეცნიერული ნაშრომებისა და კანონმდებლობის კვლევებზე, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაზე, ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტის რეკომენდაციაზე, სასამართლო პრაქტიკის ანალიზსა და ექსპერიმენტულ კვლევებზე. აღნიშნული ცვლილებები, როგორც არაერთხელ აღინიშნა, საფუძველი იქნება მართებული სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისა და ერთგვაროვანი საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკისა.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Giorgi Dzindzibadze

**Forensic Ballistic Research: Compliance of Legislation and
Methodology**

Educational program: Law

The thesis is presented for obtaining of the PhD degree in Law

Abstract

Tbilisi

2026

Grigol Robakidze University

Scientific supervisor: Gia Dekanozishvili

Doctor of Law, Professor

The date of the defence will be published on the website of
university: www.gruni.edu.ge

The defence of the dissertation will take place at Grigol Robakidze
University at a session of the Certifying Committee of Experts of the
School of Law.

The dissertation is available at the library of Grigol Robakidze
University, Tbilisi, Irina Enukidze №3 (David Agmashenebeli Alley 13

Table of Contents

Introduction.....	45
Brief content of the paper.....	49
Classification of hand firearms and ammunition intended for them and methodology of forensic ballistics research.....	51
Court practice.....	54
The influence of the results of the forensic-ballistics research and the explanatory normative acts on the legal qualification of the action..	57
Methodology, description of the research and results.....	60
Research analysis and scientific findings.....	62
Conclusion.....	66

Introduction

Research Problematics and relevance of the topic:

After the restoration of the country's independence, by the decree of the Head of State of Georgia on December 26, 1993, the State Commission for Legal Reform was established, which aimed to prepare fundamental legislative acts - codes in the main fields of law. Unlike the experience of European legislative work, where work on codified acts lasted for decades, the Georgian Criminal Code was prepared in a very short time. The sectoral commission developed the codified act of modern criminal law, which the Parliament of Georgia adopted on July 22, 1999, and entered into force on June 1, 2000. Since then, Article 236 of the said Code has been amended several times, but, despite this, its content cannot meet the requirements of the modern state and society.

In one way or another, the above-mentioned article spells out the responsibility for the illegal acquisition, storage, carrying, manufacturing, transportation, forwarding or keying of firearms and ammunition, but the types of firearms and ammunition are wrongly separated. The mentioned issue is improperly regulated by the Weapons Law of Georgia, which should be used to determine the responsibility for committing an act stipulated by Article 236 of the Criminal Code. It should be noted here that separating objects from each other by type and category requires special knowledge. The ballistics expert can make a qualified conclusion, and distinguish between hand firearms and the ammunition intended for them according to their types and categories, which should be based on the relevant methodological research. The conclusion of the forensic ballistics examination, together with the highly refined drafting of the Criminal Code and the Weapons Law of Georgia, will be the precursor to the proper qualification in criminal cases for those criminal acts where firearms and ammunition are involved.

The research topic, in the modern period, is especially relevant, since the crime committed with a firearm poses a great threat to the establishment of the legal state and the further development of democracy, it causes negative consequences in the society.

Based on the above, since firearms represent an increased source of danger, it is important to correctly examine their ballistic characteristics, correct division and accurate classification according to the categories of weapons, and determine the damaging power of the projectiles fired from them. It is also necessary, following modern tendencies, to improve both the relevant articles of the Criminal Code and the Weapons Law of Georgia, also, the methodological manual of forensic ballistic research.

Purpose of research: The purpose of the present study is to study the tendencies of the world's advanced countries in this direction, to analyse their legislation and forensic ballistic research methodologies, to describe the ballistic characteristics of specific firearms and ammunition, whose civilian circulation is limited, and firearms and ammunition, the proper purchase and storage of which It is possible based on the law. Also, it is necessary to discuss the non-homogeneous practice of the court and analyse the reasons.

The objective composition provided for in Article 236 of the Criminal Code will be present if the rules established by the Weapons Law of Georgia are violated. Therefore, despite the fact, that the mentioned articles of the Weapons Law of Georgia are not by their nature the norms determining responsibility, they directly define the objective composition of the norm determining responsibility. Without them, Article 236 of the Criminal Code cannot be effective, and, on the other hand, those specific articles of the Weapons Law of Georgia that define the types of firearms and ammunition cannot be effective without appropriate methodological studies of the objects. The combination of the mentioned articles of both laws, along with the methodological

research, creates the disposition of the criminal offence, the objective composition of which is criminalised.

The reason for the non-homogeneous practice, in some cases, is the interpretation of the norm in different ways. In all of this, the shortcomings of the research methodology and legislation also play a big role, therefore, this goal can be achieved by perfecting the legislation and the forensic ballistic research methodology, bringing them closer to the requirements of modern society and international recommendations. Also, their compatibility with each other is necessary.

Modern research methodologies must reflect the interests of the state and society and develop in line with the development of society and science. In the modern period, under the conditions of a highly developed society and state, based on the existing reality and the demands of the society, legislation and research methods that are not by the modern practices of developed countries cannot be used. Based on the above, it is advisable to introduce changes in Article 236 of the Criminal Code and the Weapons Law of Georgia, which will bring the mentioned laws closer to the current reality. After that, the methodology of forensic ballistics research should be brought into compliance with the legislation. As mentioned above, to determine the objective composition of Article 236 of the Criminal Code, it is necessary to refer to the Weapons Law of Georgia. On the other hand, to refer to the Weapons Law of Georgia, we need to know what this or that object is, and to determine what the object is, it is necessary to conduct relevant studies based on the existing methodology.

Subject and object of research: The research objects of the dissertation were determined by considering various criteria. Forensic-ballistics research methodology and legislation were selected as the objects of the research, where we are talking about hand firearms and the ammunition intended for them, In particular, the part of the forensic ballistics research methodology, where the types of hand firearms and

cartridges, their necessary criteria, examination features, as well as the legislation, which talks about firearms and ammunition, are explained. The subject of research interest is the adjustment of the mentioned methodology and legislation to the requirements of modern society, determining the necessity of their compliance with international recommendations and with each other, because inconsistencies in the legislation and methodology, also, different interpretations of the law, often become the basis of non-homogeneous court practice. In addition, the employees of the law enforcement body, in certain cases, are unable to perform the correct criminal qualification of the action.

Scientific, theoretical and practical significance of the work: The scientific novelty of the work lies in the fact that for the first time, the basic principles and tasks of the ballistic research methodology will be analysed in a complex, in-depth and monographic manner, the necessity of its compliance and perfection with the legislation. Also, judicial practice will be analyzed and the reasons for non-homogeneous decisions will be revealed. The results of the mentioned research provide the basis for a re-evaluation of the existing methodology and legislation and are an incentive for the further development of field science, creating a new impetus for the implementation of applied research.

The theoretical value of the work lies in the fact that the thesis will make a certain contribution to the development of forensic sciences, in particular, forensic ballistics. During the Soviet period, research methodologies, as well as legislation, could not be developed independently, taking into account the real requirements of the state, and were almost similar for all the member states of the Soviet Union. As mentioned above, modern research methodologies should reflect the interest of the state and society and develop in accordance with the development of society and science. In the modern period, based on the existing reality and requirements, irrelevant research methods cannot be used, and a legislative construction that does not follow the

existing reality cannot be effective. The theoretical value of the work can also be considered to be the fact that this dissertation can become the basis for many other studies related to forensic sciences and the spread of knowledge in this regard.

The practical value of the paper lies in the potential use of its materials and proposed legal constructions in legislation and research methodology. Understanding the issue by modern approaches, perfecting the legislation and research methodology and bringing them into line with each other, will be the basis for valid and homogeneous investigative and judicial practice.

Brief content of the paper

The dissertation consists of an introduction, six chapters and a conclusion. The paper is accompanied by the questionnaire materials sent from the expert institutions of different European countries and the photo illustrations showing the results of the conducted experiments.

In the first and second chapters of the thesis, the legislation of Georgia and many other countries, ballistic research methodology and scientific literature are reviewed. Issues of criminal liability for the purchase, storage, etc. of various types of firearms and ammunition have been analyzed. s., scientific works are reviewed, which describe the types of firearms and ammunition, principles of operation, issues of division into different categories, the order of object investigation and others, as well as methodological manuals of ballistic research, which describe in detail the structural features of ballistic research objects, the principles of operation of the mechanism, measurement standards, constructs, research sequence, conclusion formulation and others.

In the third chapter, several decisions are cited from the judicial practice, where it can be seen that despite the numerous interpretations of the Supreme Court regarding Article 236 of the Criminal Code, the judicial practice is not homogeneous, which, in some cases, is the fault of the gaps in the legislation, and in some cases - different interpretations of the norm by the courts and in some cases - the existing standards in the methodology of forensic ballistics research, which are not consistent with the legislation.

The fourth chapter of the study explains in detail the impact of forensic ballistics examination results and explanatory normative acts on the valid criminal qualification of an action. In this chapter, it is once again substantiated that the corresponding article of the Criminal Code, which is related to firearms and ammunition, cannot exist independently without the Weapons Law of Georgia, and for the correct application of the latter, a forensic ballistics expert conclusion is necessary. Therefore, the necessity of compliance with legislation and methodology is important for the correct criminal qualification of the action.

The fifth chapter of the dissertation deals with the analysis of judicial practice and the reasons for the non-homogeneous judicial and investigative practices. Several court decisions are discussed, where the non-homogeneous practice of the court regarding similar objects is highlighted, as well as an example from investigative practice is given. The reasons for the non-homogeneous judicial and investigative practice are analyzed, which in some cases are caused by the shortcomings of the legislation, and in other cases - by different interpretations of the norm. Specific ways are laid out, which will be the basis for similar investigative and judicial practice in similar criminal cases, the criteria for the admission of firearms and ammunition into civilian circulation and the principles underlying these criteria are discussed. The topic reviews the legal framework and expert practice of various countries in the modern period, and the

recommendations of the European Parliament and the Council of Europe for the member states. Approaches to the issue in the Soviet period, which influenced Georgia and many other countries, are discussed.

In terms of strengthening the theoretical evaluations and recommendations developed about the research issues, many experiments were conducted to better present the ballistic properties of certain categories of firearms and ammunition.

The sixth chapter talks about the positive results expected by perfecting the legislation and methodology. The recommended changes in the legislation and forensic ballistics research methodology, based on the research of scientific works, experience of different countries, recommendation of the Council of Europe and the European Parliament, and analysis of judicial practice and experiments, will be the basis for correct criminal qualification and homogeneous investigative and judicial practice.

Classification of hand firearms and their ammunition and forensic ballistics research methodology

The legislation of Georgia and many other countries, ballistic research methodology and scientific literature are reviewed in the dissertation. Issues of criminal liability for the purchase, storage, etc. of various firearms and ammunition are analysed, scientific works are reviewed, which describe the types of firearms and ammunition, the principles of construction operation, issues of division into different categories, the sequence of object research, as well as methodological manuals of ballistic research, which describe in detail the structural features of ballistic research objects, the principles of operation of the mechanism, measurement standards, constructional components, research sequence, conclusion formulation and others.

Hand firearms are classified according to different criteria. The mentioned criteria include the type of weapon barrel, which can be smooth or rifled, the principle of operation of the loading mechanism - mechanical or self-loading, firing mode - single or automatic, type of manufacture - factory or non-factory, barrel length, the overall length of the weapon. These are the main criteria according to which hand firearms are researched in most European countries, in the United States of America, however, it should be noted that similar to the methodologies of the former Soviet Union, in several post-Soviet countries, the main criterion for the classification of hand firearms is still considered their purpose.

Like firearms, cartridges are also classified according to various criteria. These criteria are different in different countries. In the scientific literature and legislation of some countries, cartridges are mainly divided according to their intended purpose, in some countries, along with the intended purpose, their structural elements are prioritised, and it is noted that ammunition is classified not only according to their purpose, their constructive elements are more important.

Cartridges intended for pistols and revolvers, in most cases, have jackets and a rounded front part. There are many calibre cartridges and different bullets for the same calibre cartridge. For example, there are over sixty types of bullets for the 9mm Luger cartridge. Some of the bullets of this type are fully jacketed, some are semi-jacketed, and there are also non-jacketed bullets. Jacketed bullets exist with a hard penetrating core and a relatively soft core made of lead material. Of course, all of them have their purpose. Soft-shelled and semi-jacketed bullets are primarily intended to deform easily, while bullets with penetrating cores are effective against armoured targets and hard materials.

To qualify the action under the relevant article of the Criminal Code, when it comes to firearms and ammunition, it is necessary to apply the Weapons Law of Georgia, although this law is explanatory and does

not contain the norms establishing liability. For the correct use of the latter, it is necessary to know what exactly this or that object represents, and this should be determined based on appropriate methodological research.

In the Soviet period and several post-Soviet countries' ballistics examination methodical manuals, the main focus is on the intended purpose of the firearm and is divided into the following categories: Combat firearms intended for the destruction of manpower and equipment (rifles, machine guns, revolvers, pistols), Civilian firearms with small kinetic energy and target distance (for example, a 6.35 mm calibre pistol of the "Korovin" construction, an American-made revolver "Colt", etc.), training firearms, intended for studying the details of weapons, sporting firearms; hunting firearms, intended for amateur and industrial hunting.

